გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი ოთხი კაპეიკი.

1877—1889 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889


დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 8 იანვარს.

## „ივერია“

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (ასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა სადვორიან-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში)

ქუთაისში: ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ნათაძეს.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

პარასკევს, იანვრის 6-ს 1889 წ.
ტფილისის კრუჟოკის დარბაზში
დანიშნულია

## ბალი

ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის სასარგებლოდ.

ბალი დაიწყება საღამოს 9 საათზედ.

ფასი ბილეთისა 2 მანეთი.

ქალებს შეუძლიანთ გულ-ამოჭრილი კაბებითაც მობრძანდნენ.

ბილეთები ისყიდება „კრუჟოკის“ შვეიცართან.

ტფილისი, 5 იანვარი

ამ რამდენისამე წლის წინად ბ-ნმა აშორდიამ განიზრახა მეგრულის მწერლობის დაარსება და ამიტომ შეადგინა მეგრული ანბანი. საფიქრებელი იყო, რომ აშორდიას ანბანი გამოუყენებელი და უყურადღებოდ დარჩებოდა, მაგრამ ზოგიერთთ ხელი მისცეს ამ ახალს „ფარნავაზს“ და განიზრახეს იმისის ღვაწლის გამოყენება. თვით მეგრელებს არაფრად ეპრიანიკათ ეს ამბავი და დღესაც ცუდის თვალით უყურებენ როგორც თავიანთს «ფარნავაზს», ისე იმის მოსარჩლეთა, მაგრამ ამისდა მიუხედავად ფარნავაზმა ფარნავაზობა არ დაიშალა და მოსარჩლეთა—მოსარჩლეობა. ახალის მწერლობის დამაარსებელნი იმას არ ჩაუკვირდნენ, თუ ვისთვის და რამდენად საჭირო მეგრული ანბანი და მწერლობა და თუ ვინ არიან მეგრელნი. ამას რომ ჩაჰკვირვებოდნენ, მაშინ ხომ სრულიად ხელს აიღებდნენ ახალს საქმეზე და დარწმუნდებოდნენ, რომ მეგრელნი იგივე ქართველნი არიან. მაგრამ ჩაკვირვება რა საჭირო იყო, როდესაც თავსა და გულში სრულიად სხვა აზრი ჰქონდათ ჩახვეული, როცა მეგრულის მწერლობის დაარსებას შეუდგნენ. განა აშკარა არ არის, რომ მეგრელნი იგივე ქართველნი არიან, ქართულად მეტყველნი? ვინ არ იცის, რომ მთელი თავად-აზნაურობა სამეგრელოსი, თვით სამთავრო გვარეულობიდგან დაწყებული ვიდრე უკანასკნელ აზნაურამდე, ჩინებულად უბნობს საერთო, საყოველთაო ქართულს? განა მთელი სამღვდელოება სამეგრელოსი ქართულად მოუბარი არ არის? განა მეგრელი ვაჭრები, რომელნიც მოსდებიან ამიერ საქართველოს და რომელთაც ხელში უჭირავთ სამეგრელოს დაბა-სოფლები, იმავე საერთო, საყოველთაო ქართულს არ უბნობენ? განა გლეხ-კაცობამ სამეგრელოსამ, რომელსაც ცოტაოდენი მისვლა-მოსვლა აქვს დაბა-სოფლებსა და იმერეთში, იგივე საერთო ქართული არ იცის. განა ცხადი არ არის, რომ სამეგრელოს განაპირა ადგილებში მხოლოდ ქართულს ლაპარაკობენ?

აქ ამაზე მეტიც უნდა ვსთქვათ. თუ გინდათ ნამდვილი, სუფთა, და რბაისლური, მწიგნობრული ქართული მოისმინოთ, მეგრელის თავად-აზნაურის ოჯახში უნდა მიბრძანდეთ. იქ უცხო ენის გავლენას სრულიად ვერ შეჰნიშნავთ და მხოლოდ გესმისთ ნამდვილი ქართული სიტყვა-პასუხი. იმავე ოჯახში თქვენ გაიგონებთ შოთა რუსთაველისა და ჩახრუხაძის ტკბილს ლექსებსა და ძველს საეკკლესიო ენას. ერთის სიტყვით, ვისაც სამეგრელო მიმოუვლია, გაკვირვებითა და დიდის სიამოვნებით იხსენიებს იქაურს წმინდა, სუფთა ქართულს.

რაც შეეხება თვით მეგრულს, სათემო ენას, ვინ არ იცის, რომ იგი ქართულის ჯიშისაა და რომ მეგრელი, რომელიც თავისს ქოხს არ გასცილებია, რაკი მისვლა-მოსვლას იწყებს, სულ ცოტა ხნის შემდეგ ქართულს ისე ლაპარაკობს, როგორც დანარჩენი ქართველი. ვიმეორებთ, ეს ყველასათვის ცხადი და აშკარაა, მაგრამ ვისაც გულში მალული განზრახვა აქვს ჩახვეული, იმათთვის საკბილო არ არის და ამიტომაც სცდილობენ აშკარა დამალონ და სხვებსაც არ დაანახვონ..

ზოგიერთთა უკუღმართობა მეგრულის ანბანის შემოღებით არ დასრულებულა. ეხლა სამეგრელოს აღმოსჩენია „წმინდა“ მამებიც, რომლებსაც, სრული იმედია, წმინდანებად არ შერაცხენ. ამათ უკისრნიათ საღმთო წერილის თარგმნა მეგრულს ენაზე. ვინ არიან ეს მთარგმნელები? გიმნაზიებიდგან გამორიცხულნი და სასოფლო სკოლებში კურს-დასრულებულნი. აი ამ კაცთ უკისრნიათ საღმთო წერილის გადაღება მეგრულს ენაზე, მაშინ-როდესაც მთელი სამეგრელო მრავალი საუკუნის განმავლობაში სასოებით ისმენს ქართულს წირვა-ლოცვას. ამ მთარგმნელებს უკვე გადაუთარგმნიათ რამდენიმე წიგნი და კიდეც წარუდგენიათ სასულიერო მთავრობისათვის. ერთის სიტყვით, ამ მამათ ოდონდ თავიანთი ფარული აზრი საქმედ აქციონ და იმას-კი არ დაეძებენ, რომ ერის რელიგიურს გრძნობას შეჰლახავენ და შეჰბღალავენ.

საღმთო წერილის მეგრულს ენაზე გადმოღება ახალი საქმე არ არის. ამ ოციოდე წლის წინად მთარგმნელთა გუნდმა კიდეც გააცნო მეგრულზე წირვა-ლოცვა, მაგრამ, როდესაც ეკკლესიაში გაისმა „ჭკვიანური გეწიმორდითით“, ხალხმა იგრიალა და ლანძღვა-გინებით გამოვარდა ეკკლესიიდამ. ეს ამბავი არ უნდა დაევიწყნათ ახალს მთარგმნელებს და იმათ მოსარჩლეთ, მაგრამ რა გაეწყობა, როცა ადამიანი ხალხის გრძნობასა და აზრს სრულიად არ დაეძებს და ყურადღებას არ ათხოვებს. ამ ახალ მთარგმნელების საქციელს მეტად შეუწუხებია თვით მეგრელებიც, რომლებმაც საჩივრით მოჰმართეს ჩვენს გაზეთს აი რასა გვწერს, სხვათა შორის, ერთი გულ-ამღვრეული მეგრელი:

> ახალი თარგმანი არ წაავაგს ძველს: ახალში მთარგმნელებს არც ერთი სიტყვა არ დაუტოვებიათ, რომელიც ქართულსა ჰგავს, და რადგან ეს ძალიან ძნელი საქმეა, ზოგის კიდევ მთარგმნელებს ახალი მეგრული მოუგონიათ. აი ამისი ნიმუშიც: „წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდავო“ ასე უთარგმნიათ: „ტატალი ღორონთი, ტატალი შეძლებუამი, ტატალი ულურუ მუშენვარით ჩქი“. სიტყვა „ტატალი“ ზავვშური სიტყვაა და სრულიად ემსგავსება ქართულს „ზიზიას“ (ზიზია ღმერთი) და რუსულს цаца-ს (цаца Богъ).

რაღა თქმა უნდა, რომ ამ გვარი თარგმანი ერის გრძნობა-გონებას შეჰბღალავს და შეჰლახავს და ამ მომაკვდინებელს ცოდვას ნურ შეუშინდნენ „აშორდია-გამმორდიები“. ჩვენ სრულიად დარწმუნებულნი ვართ, რომ თვით მეგრელი საზოგადოება საკადრისს მიანიჭებს ახალს მთარგმნელებს და თავისს წმინდა გრძნობას არავის შეალახვინებს...

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

*** აღარა ქნა და ჭკარ გადილო თოვლმა ტფილისში. აგერ ერთი კვი-

# ფელეტონი

### ელეგია

ჰწვიმს და ჰშხეპს, ბნელა. ვარეთა
ძაღლი არ გაიგდებაო.
ცა დედამიწას უწყრება,
ჰტუქსავს და ემუქრებაო.
ქარი მოგლეჯას უპირობს,
ებრძვის და ეზიდებაო.
მე-კი სამგზავროს მივდივარ,
ძალიან მეშურებაო.
იქით მიმელის სიცოცხლე,
აქეთ სიკვდილი რჩებაო.
ბნელდება, ჯანღი ეხვევა,
ტარება მიძნელდებაო.
გზას იქით კლდიანი არის,
ფეხი არ ეკიდებაო.
მაინც არ ვიშლი, მივდივარ,
მოხდეს, რაც მომიხდებაო!
ხელში სანთელი მიჭერავ,
შუქი წინ მიმიძღვებაო.
წვიმა და ქარი მატულობს,
ვაჰმე, თუ გამიქრებაო!
ნუ გამიქრები, სანთელო,
ნუ დაჰბნელდები, ღამეო!
ნუ გამიცრუებ იმედსა,
იღბალო, შვება მამეო!

ბაჩანა

### ახალი წყარო საქართველოს ისტორიისა.

„წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საცავი თანდათან მატულობს და იზრდება სხვა-და-სხვა ქველ-მოქმედ კაცთა წყალობით. ამ გასულს წელს ბ-ნმა მესხიშვილმა დიდ-ძალი ხელ-ნაწერი წიგნი შესძინა ამ წიგნთ-საცავს და ამ წიგნებ შორის პატივცემულმა არხეოლოგმა დ. ზ. ბაქრაძემ აღმოაჩინა ერთი ძვირფასი მანუსკრიპტი მეცხრე საუკუნისა, ტყავზე დაწერილი, რომელიც, სხვათა შორის, შეიცავს წერილს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. წერილი ესე ფრიად შესანიშნავია ჩვენის ძველის ისტორიისათვის და ამიტომ მკითხველს მოკლედ ვუამბობ იმისს შინაარსს.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ შეიცავს ქრისტიანობის გავრცელების ამბავს, წმინდა ნინოს ღვაწლსა და სრულს მისის ცხოვრების აღწერას. წმიდა ნინოს ცხოვრება ორის რედაქციით არის ნაწერი: პირველი რედაქცია მოკლედ და მარტივად მოგვითხრობს წმიდანის მოღვაწეობას, უეჭველად ყველა აქამომდე ცნობილ ვარიანტებში უუძველესია და ამის გამო უფრო შესანიშნავი და ძვირფასი. მეორე ვარიანტი, გავრცელებული და სხვა-და-სხვა წვრილმან ამბითა და ფრაზებით შემკულ შეზავებული, ძალიან წააგავს ბ-ნ მ. საბინინისაგან გამოცემულს წმიდანის ცხოვრებას, მაგრამ მისგან განირჩევა შესამჩნევად იმითი, რომელ უფრო მარტივია, გასაგები და მართალი.

პირველი რედაქცია ნინოჲს ცხოვრებისა განსაკუთრებით იმითი არის ძვირფასი ჩვენთვის, რომ იგი შეიცავს დიდ-ძალს ფრიად საჭირო მასალას ჩვენის უძველესის ისტორიისას.

წმიდანის ცხოვრების აღმწერი თავისს შრომას იწყებს ძველის წარმართ მეფეების დროიდგან, რომელთაც გაუმრავლებიათ სხვა-და-სხვა კერპი. აქ არის მოთხრობილი, თუმცა ფრიად მოკლედ, მთელი წარმართული ცხოვრება ნინოს მოსვლამდე და თითო-თითოდ, უნაკლულოდ ჩამოთვლილია ყველა მეფე ნინოს წინა დროისა.

შემდეგ ნინოს ცხოვრების დასრულებისა მოთხრობილია ამბები ქრისტიანობის გავრცელებისა და აგრეთვე თითოეულად ჩამოთვლილია ყველა მეფე და ქათალიკოზი მეცხრე საუკუნემდე.

პირველი ნახევარი ამ მასალებისა, ანუ წარმართობის დროჲს აღწერა, საინტერესოა იმითი, რომ შეიცავს თუმცა ცოტას, მაგრამ ფრიად საყურადღებო ამბებს ჩვენის ძველის ცხოვრებისას. მაგალითებრ:

1) ყველა მეფეებზე უწინარეს მოხსენებულია არან მეფე ქართლისა. ამას ჰყოლია შვილი აზო, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის ჯარს მიმხრობია, და როდესაც ალექსანდრეს საქართველო დაუპყრია და გაუერთებია, მაშინ ეს აზო მეფედ დაუსვამს მთელის საქართველოისა ჰერეთიდგან (გაღმა კახეთი) ეგრის წყლამდე (ენგური) და სომხითიდგან კავკასიონამდე და მიუბოძებია საჯდომად მცხეთა.

ცხადია, რომ მესამე საუკუნეშიაც, როგორც ქსენოფონტის დროსაცა (IV საუკ.), საქართველო წვრილ-წვრილ ნაწილებად ყოფილა დაყოფილი და თითო ნაწილს თავისი ხელმწიფე ჰყოლია. მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელმა განაერთა საქართველო და მცხეთა გაჰხადა დედა-ქალაქად გაერთებულის სამეფოსი, რომელიც უბოძა აზოს. „და ესე იყო პირველი მეფე მცხეთას შინა“, იტყვის მემატიანე .. და მოკვდა, და შემდგომად მისა დადგა ფარნავაზ...

ამ სახით პირველი მეფე მთელის საქართველოისა (და არა პირველი მეფე საქართველოში) ყოფილა აზო და არა ფარნავაზი. ქართლის ცხოვრებაშიაც არის მოხსენებული აზონ მმართველად საქართველოისა, გარნა მეფედ არ არის მოხსენებული (უეჭველია აზონ იგივე აზოა) და ქართველ ტომობა მისი არა სჩანს. ხსენებულს მანუსკრიპტში-კი ცხადად ნაამბობია, რომ ის ქართლის მეფის შვილი ყოფილა და მცხეთას გამეფებია. შემდეგ «ესე აზოჲ წარვიდა არან ქართლად მამისა თვისისა და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი (ნათესავნი) და დაჯდა ძუენ (ძველ) მცხეთას. (ახალი მცხეთა-კი მერვე მეფობაზე აღუშენებიათ, ბრაჯმან და მირვანის დროს) და თანა ჰყვანდეს კერპნი გაცი და გა“ (გაიმ). ეს ცნობები, ვინც ღრმად ჩაუკვირდება, ფრიად საინტერესონი არიან და ბევრს შუქსა ჰფენენ ჩვენს ისტორიას.

როგორც ეტყობა, გაერთებულს

რაა, რაც თითქმის გამუდმებით თოვს. ქალაქი აივსო თოვლით. საღამ-საღამოობითა და დილ-დილაობით ჰყინავს და ისუსხება. ამ სუსხიანმა და მკაცრმა ზამთარმა საქმე გაუჭირა ტფილელებს. ღარიბი და საწყალი ხალხი ხომ დალუპა და დაანელა, არსად შეშა, არსად თბილები მათთვის. სადგომი სახლები ხომ სრულიად უვარგისი და მოუწყობელია საზამთროდ ტფილისში საზოგადოდ და შეუძლებელთა სამყოფელი ხომ რაღა უნდა იყოს. ყველა უჩივის სიცივეს, ყინვებს, უშეშობას, ან შეშის სიძვირეს. ქვა-ნახშირიც, რომელსაც დაედო ხელ-მოკლე ხალხი, გაძვირდა და აბაზის მაგიერ ფუთი ხუთშაურად ისყიდება. ხის ნახშირი ხომ ლამის წონით გაჰყიდონ ტფილელმა მენახშირეებმა. რუსებიც-კი გაკვირვებულნი არიან, ეს რა ზამთარს მოვესწარით ტფილისში, სწორედ მოსკოვის თოვლი და ყინვებიაო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ-ნს ალნიაშვილის ქართული ხორო წმინდა ნინოობისათვის ემზადება და უნდა მთელის წირვის წესი იგალობოს სიონის ტაძარში. გალობას იტყვის ხორო კარბელაანთ კილოზე. ბ-ნი ივანოვი, დირექტორი სამუსიკო საზოგადოებისა, დაჰპირებია ხოროს იმ ნოტებს წირვის წესისას, რომელიც გადაღებული აქვს მის ყოვლად სამღვდელო გორის ეპისკოპოსის ალექსანდრეს თხოვნითა და სურვილით ძმათა კარბელაანთ მიერ თქმულის გალობის თანხმად.

*** **ოზურგეთი**: დეკემბრის დამდეგს ძალიან დაგვემუქრა ზამთარი, თოვლსა და ყინვას ბლომად გვიძლევნითო, მაგრამ მუქარა საიმისოდ არ შესრულდა. ამ ბოლოს დროს სრულიად გამოგვიზაფხულდა. ცოტაოდენი თოვლი უკვე გაჰქრა. ეხლა ისე მოთბა ჩვენსკენ, რომ სახლების ფანჯრებსაც-კი აღებენ. ერთია მხოლოდ სამწუხარო აქეთ: ჰაერი მეტად მალმალე იცვლება, დაუდეგარია. ერთს წამს რომ თბილოდეს, მეორე წამს ცივა. ამის გამო ხშირია ფილტვების ანთებით ავადმყოფობა და სიკვდილიცა. დღე არ გავა, რომ არ გაიგონო ამასა და ამას ფილტვების ანთება დამართნიაო. მერე აქეთ ძალიან ნაკლებად სწამთ ექიმი და წესიერი მკურნალობა. რომ კვდებოდეს, მკურნალს არ მიჰმართავს და შაურის წამალს არ იყიდის, თუნდა სიკვდილისაგანაც დაიხსნიდეს ის ერთის შაური წამალი. უგზო-უკვლოობა აფხაზეთისა საარაკოა. ამ ქვეყნის მხსნელი ის იქნება, ვინც აქ გზებს გაიყვანს და გააკეთებს. სანამდე-კი ყოველივე აქეთ სიბნელით არის და იქნება მოცული.

*** **ბათუმი**: კ. მესხი იყო აქ თავის დასით. პირველად წარმოადგინეს „შეშლილია" და „გემრიელი ლუკმა". პირველ წარმოდგენაზე ცოტა ხალხი დაესწრო, მგონი იმისთვის, რომ დღესასწაულობის წინა დღე იყო და ყველა შინაურობაში ემზადებოდა შობის დღესასწაულის დასახვედრად. წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. ძალიან გვასიამოვნა კ. მესხმა თავისის არტისტულის თამაშობით. დ. მესხმა ხომ სიცილით დახოცა ხალხი. მეორედ წარმოადგინეს „ქოროღლი". ეს პიესა ძველი და მეტის-მეტად უშინაარსო რამ ნაწარმოებია, მაგრამ მაჰმადიანთა ქართველთა თხოვნით ითამაშეს. წარმოდგენა ძრიელ მოეწონათ აქაურს გამაჰმადიანებულს ქართველებს. ყველა ალტაცებით იხსენიებს იმ წარმოდგენას. ჩვენებურად-კი რომ ავწონ-დავწონოთ, ეს უიმისოთაც ულაზათო ნაწარმოები სცენაზე ძალიან დაამახინჯეს. ჯერ ერთი ესა, რომ როლები არ იცოდა ბევრმა; მეორე ისა, რომ ის ნაწილი პიესისა, რომელიც მართლა რომ საეფექტოა, როცა ქოროღლი მღერის, გამოსტოვეს. კოსტიუმებიც შესაფერი არა ჰქონდათ. აქაო და პროვინციაში ვართო, ქუთათურმა არტისტებმა ამ პიესაში ძალიან იცუღლუტეს. მაგრამ ყოველივე ნაკლი გამოისყიდა კ. მესხმა წარმოდგენის დასასრულს, როცა გურულების ცხოვრებიდგან სთქვა მოსწრებული სიტყვა-პასუხები და ანეკდოტები. შემოსავალი გვარიანი იყო ამ წარმოდგენისა. ფრიად სასურველია, რომ კ. მესხი ხანდახან ეწვეოდეს ხოლმე პროვინციელ დაბა-ქალაქებს. დიდი მნიშვნელობა აქვს ერის თვითშეგნებისთვის ამ გვარს წარმოდგენებს. სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ აქაური ქართველობა ისე ვერ მიეგება ჩვენს ნიჭიერს არტისტს კ. მესხს, როგორც ეკადრებოდა. მელპომენას სიყვარული ჯერ ჩვენში არ გაღვიძებულა. ეს მერმისის საქმეა და ამასაც მოვესწრობით, ფიქრი არ არის.

*** **ბარის ოსეთი**: საქონლის საკვები ძრიელ გაძვირდა; პატარა ურემი, რომელიც თორმეტ-თხუთმეტი ფუთი არ გამოდის, მიაქვსთ კავკავში და სამ მანეთად და ათ შაურად და ოთხ მან. ჰყიდიან.

*** **იქიდამვე**: არა ერთხელ და ორჯელ გვქონია ჩვენ მოხსენებული „ივერიაში", რომ სხვა-და-სხვა გადამდები სენი ხალხს მუსრს ავლებსო, მაგრამ ჯერაც არავინ გამოსარჩლებია ბარის ოსებს ამ სენის მოსასპობლად. შარშან იყო და სოფ. ხუმელაგაში ოთხმოც-და-ორი ყმაწვილი იმსხვერპლა ყვავილმა. იგივე დღე ადგია ამ ჟამად სოფლებს: გიზელს, ყადგაროს და ბრუთს. დრო არის, რომ ყურადღება მიაქციონ ამ გაჭირვებას.

*** 3 იანვარს, პოლიციის 1-ლს ნაწილში, არტილერიის ქუჩაზედ, პოლკოვნიკის ბრიუსტის სახლის კიბეზედ იპოვნეს მიგდებული ყმაწვილი-ქალი, შეხედულობით სულ სამის თვის დაბადებული. ბავშვთან იყო ბარათიც, რომელშიაც ეწერა, რომ ყმაწვილი მონათლულია და ალექსანდრა ჰქვიანო. ყმაწვილი გაგზავნეს საბებიო ინსტიტუტში.

*** 4 იანვარს, პოლიციის პირველსავე ნაწილში, ტფილისის ოლქის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის ხელ-ქვეით ლინდენის სახლიდგან ვიღაც უცნობმა მოიპარეს ოქროს საათი ძეწკვიანურთ, სამაჯური და ბეჭედი, სულ 300 მან. დაფასებული. დამნაშავეთა აღმოსაჩენად და მოპარულის საპოვნელად ყოველივე ღონისძიებაა ნახმარი.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

კაჰკაბი, იანვრის 2. გავა თუ არა ძველი წელი და დადგება ახალი, ზოგს გაზეთის მოამბეს ჩვეულებად აქვს აცნობოს მკითხველს, თუ სად როგორ გაისტუმრეს ძველი წელიწადი და როგორ მიეგებნენ ახალს. და აი მეც მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს ვუამბო მკითხველს, თუ ბარის ოსებმა როგორ გაისტუმრეს ძველი წელი და როგორ მიეგებნენ ახალს. როგორც იყო გავისტუმრეთ ბებრუცუნა ძველი წელიწადი და დიდის ამბით მივაცილეთ თავისს საზღვრამდე. ამ ძველს წელიწადს თან ვემდურებით და თან ვემადლიერებით. ვემდურებით იმიტომ, რომ წლის სარჩო ნაკლებად დაგვიტოვა; ვემადლიერებით იმიტომ, რომ წარსულს წელს ბოლო მოუღო მრავალს მავნე ჩვეულებას, მაგალითებრ, ურვათს, მიცვალებულთათვის უზომო და უანგარიშო ხარჯს, ქურდობა-ავაზაკობასა და სხვა. ყოველივე ესე ძველს წელიწადს თან გავატანეთ.

—

წრევანდელმა ზამთარმა ძალიან შეგვაწუხა. უფრო თოვლიანი ზამთარიც გვინახავს, მაგრამ ამ გვარს საშინელს სიცივესა და სუსხს არ შევსწრებივართ. წარსულ დეკემბრის ცამეტიდგან ოც-და-ერთამდე ისეთი საშინელი ჭირხლიანი ყინვები იყო, რომ შიშით გარეთ ვეღარავინ გამოდიოდა. ტყეში ხომ ვეღარავინ ჰბედავდა წასვლას და ვინც წავიდა, იმათაც ზოგს ფეხები დაამრა, ზოგს ხელები, ზოგს ცხვირი და ზოგს ყურები. ერთი ქიშტი ტყეში წასულიყო, ხე მოეჭრა, მერე ხის ძირს მიმჯდარიყო და იქვე გაყინულიყო. აგრეთვე ერთს მონადირეს თოფი ხელში დარჩენოდა და ისე გაშეშებულიყო. ზოგ-ზოგს სოფელში წყალი სულ ერთიანად გაჰყინა და ხალხი იძულებულია მარხილით ზიდოს წყალი დაშორებულ ადგილებიდამ.

ქართველი ოსებში

## ფიდოს ახალ წელიწადი

ჩვენი პატარა და კოხტა სოფელი დღეს უფრო ტურფად მეჩვენება ყოველ მხრიდგან ხმაურობა მოისმის. საითაცკი მიიხედავ, ყველგან თონეს ახურებენ. ზოგან სიცხისაგან სახე-დაწითლებული დედაკაცები ფაცა-ფუცით გუნდას იღებენ და აცხობენ პურს. იმათ შორი-ახლო ფიცრებზედ ჩამომსხდარან პატარა ყმაწვილები და სიამოვნებით შეექცევიან ცხელ-ცხელ ლავაშებს. პატარძლები და ქალები დღეს საგანგებოდ ალაგებენ სახლებსა და კარ-მიდამოს: ზოგი ჰურჭელსა ჰრეცხავს, ზოგი საფენსა ჰბერტყავს. ბერიკაცები ბოსელსა ჰხვეტენ, საქონელს იურვებენ და ვარცხნიან. ერთს ბანზედ სკოლის ყმაწვილებს მოუყრიათ თავი და მხიარული ჟივილ-ხივილი გააქვსთ.

— დღეს დედაჩემი ბედის-კვერებს აკრავს, სთქვა ფიდომ.

— ჩვენ სოფელში-კი არ აცხობენ ეხლა ბედის-კვერებსა და ბასილებს?! ამოიოხრა კოლამ.

— ჩვენსაც აცხობენო, — წამოიძახა მესამემ, და გააბეს ლაპარაკი.

— ბიჭებო, პურისათვის რად დაურქმევიათ „ბედის - კვერი?" — იკითხა ფიდომ.

— იმიტომ-რომ ახალ-წელიწადის წინა დღეს დაკრული პური ადამიანს აბედნიერებსო, — წამოიძახა ერთმა.

— მაგისათვის-კი არა, სულელო, იმისთვის დაურქმევიათ ეგ სახელი, რომ ვისი კვერიც გამოცხობის დროს არ ჩავარდება თონეში, ამბობენ, ის დარჩება მეორე ახალწლამდე, და ვისიც ჩავარდება, ის მოკვდებაო, — სთქვა კოლამ თავ-მოწონებით.

— ჰო, მართლა, წამოიძახა ფიდომ: დილას დედაჩემი ამბობდა, რომ შარშან ბადრიას დედას თავისის მაზლის სახელზედ დაკრული კვერი ჩაუვარდა და გაზაფხულზედ მაზლიც მოუკვდაო!..

— კარგით, კარგით, ბიჭებო, მოდით ახლა ვიმღეროთ, — დაიძახა კოლამ: — აბა, ბიჭო, გიორგი, სვიმონა, ადექით!

— მოიცა ჯერ, — მოისმა ხმა: — თედოც მოვიდეს-და!

— ოჰ, — სთქვა გულ-მოსულმა კოლამ: — თედოს ჯერ იქნება პური არცკი უჭამია.

— როგორ არა, ეს არის ეხლა თავისი რაში წაიყვანა წყალზედ.

— რა ვიცი, რაც ის თავისს ჯაგლაგ ცხენს უვლის, ლამის მართლაც გაარაშოს, დასცინეს ბიჭებმა თედოს.

ამ დროს მხიარული თედო მოაჩაკჩაკებდა ცხენს. რა გაიგო, რომ ყმაწვილები იმის მოლოდინში იყვნენ, საჩქაროდ დააბა ცხენი ბოსელში და გაეშურა ამხანაგებისკენ. ჯერ არცკი ასულიყო ბანზედ, რომ დასძახა: „გოოგონა, გოგონა!" დანარჩენებმა მიჰბანეს და დაჰკრეს ტაში. ამ სიმ-

საქართველოს დიდხანს ვერ გაუტანია თავი. მეათე მეფობაზე, არსუკ მეფის დროს, როგორც ბუნდად სჩანს, აჯანყება მომხდარა ქართლში; კასპსა (კასპი თურმე დიდი ციხე ყოფილა) და უფლისციხეს მოუნდომებიათ მცხეთელ მეფისაგან განთავისუფლება, გარნა არსუკს დაუმორჩილებია იგინი: «რომელმან (ე. ი. არსუკმან) კასპი და უფლისციხე განაგო».

მაგრამ არსუკ მეფეს შემდეგ მეფის „როკი"-ს დროს უწესოება და შინაური არეულობა დასრულებულა იმითი, რომ „მეფობა ორად გაიყო, ორნი მეფენი დასხდეს იმერ და ამერ". იმერში გამეფებულა ქარრამ, რომელიც დამჯდარა არმაზს, და მეორე ნაწილში დამჯდარა ბრატმან (მეორე) — მცხეთას. ამ ბრატმანის დროს ურიები ჩამოსულან მცხეთაში და დასახლებულან. სჩანს, რომ იმერად იწოდება მტკვრის მარჯვენა მხრის ქვეყნები, რომლის სატახტო ქალაქად გამხდარა არმაზ, და ამერად იწოდება მტკვრის მარცხენა მხრის ქვეყნები, რომელშიაც დედა-ქალაქად დარჩენილა იგივე მცხეთა. შემდეგ ჩამოთვლილია წყვილ-წყვილად იმერ-ამერი (ე. ი. არმაზ-მცხეთელი) მეფეები ამ რიგად: ფარსმან (იმერ) — კაოზ (ამერ), არსოკ — ამაზავს, ამაზასპ — დერუკ, ფარსმან ქველი — ფარსმანავაზ, როკდ — მირდატ.

ამ უკანასკნელის მირდატის დროს ისევ გაერთებულა იმერ-ამერეთი და მოშლილა მეფობა არმაზისა: „და ამისაზე (ე. ი. მირდატის მეფობაზე) მოაკლდა (მოიშალა) არმაზისა სამეფოჲ და მცხეთას ოდენ იყო მეფობა."

ამ მირდატიდგანაც იმავ რიგით ჩამოთვლილია თითო-თითოდ ყველა მეფეები (მხოლოდ სახელებია) მირეან მეფემდე, რომლის მეფობას ეკუთვნის წმიდა ნინოს მოღვაწეობა.

შემდეგ წმიდა ნინოს მოღვაწეობის აღწერისა მემატიანე განაგრძობს ისევ ქართველ მეფეებზე მოთხრობას მოკლედ მეცხრე საუკუნემდე, ე. ი. მისს დრომდე. აქ მოხსენებულია ფრიად შესანიშნავი საისტორიო მასალა, რომელიც ავსებს ფრიად შესანიშნს ნაკლსა ჩვენის ისტორიისას. მაგალითებრ: ბევრი მასალაა ქრისტიანობის გავრცელების ისტორიისა და ძველ წარმართულ სარწმუნოების შესასწავლად. კერპები გვქონია ძველად: ა) გა და გაციმ, რომელნიც ქართლიდგან გადმოუტანიათ და უცხო ღმერთებთან (სპარსეთ-საბერძნეთიდგან მოტანილ კერპებთან) მუდამ მებრძოლი და მეამბოხე ესენი იყვნენ — „ძუელნი ღმერთნი მამათა ჩუენთანი"; ბ) არმაზი, სპარსეთიდგან ფარნაზისაგან განმშვენებული და აღმართული «ცხვსაზედა» (მთა); გ) აინინა; დ) დაინინა. ორნივ უკანასკნელნი, აინინა და დაინინა, გზის პირას მცხეთასთან იყვნენ აღმართულნი მესამისა და მეოთხის მეფეებისაგან; ე) ზადენი, ფარნაჯომ მეფის დროს აღმართული მთაზედ, რომელზედაც შემდეგ აშენებულ იქმნა მონასტერი ზე-ზადენისა ანუ ზედაზნისა; ვ) უთრუჯან ანუ ითრუშან, ქალდეველთა ღმერთი, რომელიც როდისლაც გადმოუტანიათ საქართველოში. უთრუჯან და არმაზი მტრები ყოფილან ერთმანეთისა — „არმაზ და ქალდეველთა ითრუშანი ყოვლადვე მტერ არიან". გარდა ამისა მირიანეს ლოცვაში მოხსენებული სახელები ღმერთების სახელები უნდა იყოს: რაჲთა (არმაზის ახლო მდგარი), მებოჲ, ხოჯათ, სთაბანუბ, რასულ, ფსარ, ზად (ზადენი?).

ყველა კერპებში უძლიერესნი ყოფილან არმაზი და ზადენი, „დიდთა ნაყოფთა მომცემელნი და სოფლის მპყრობელნი, მზის მომფენელნი და წვიმისა მომცემელნი, ქვეყნისა ნაყოფთა გამზრდელნი", და ფრიად პატივცემულნი ყოფილან გაციმ და გაჲ, «ძუელნი ღმერთნი მამათა ჩუენთანი». კერპების მსახურნი იყვნენ მოგვნი. ამათ ჰქონიათ ცალკე უბანი მცხეთაში «მოგუეთი» («მოგუნი მოგუეთს მოგუობდეს»).

ქრისტიანობის გავრცელება ჩვენში უსისხლოდ არ მომხდარა. შემდეგ მირიან მეფისა და ხალხის მონათვლისა მეფეს უხმარია ძალა მოსანათლავად მთიულებისა, გაუგზავნია ერისთავი მღვდელითურთ (იაკობ), „და დადგა (წმ. ნინო) წობენს და მოუწოდა მთიულთა და ფხოველთა და წილკნელთა და უქადაგა სარწმუნოება ქრისტესი". მაგრამ იმათ არ ისმინეს ქადაგება. მაშინ „ერისთავმან" მცირედ წარმართა მახვილი და შიშითა მოსცნეს კერპნი იმათნი დალეწად და გარდავიდა ერწუდ და დადგა ჟალეთს დაბასა ედემს და ნათელ-სცა ერწუნელთა". შეშინებულ მთიულელთა, ყვარელთა დაუგდიათ თავისი მთები და გარდასულან თოშეთას: «და გადაკრბეს თოშეთა» (თუშეთს), რომელნი (ე. ი. თუშელნი) უკანასკნელ იპოვნეს, თრდატ მეფემან მოიყვანა და მონათლნა.

აქედგან წმ. ნინო მღვდლითურთ და ერისთავით „შთავიდა კხოეთა (კუხეთი?) და დადგა კაწარეთს და მონათლა კხოელნი და სოჯნი ერითურთ მათით და გარდავიდა კახეთა (კახეთად) და დადგა ქცელ დაბას და მოიყვანნა კაცნი მთავარნი და მონათლნა". მირიანმა ანდერძად დაუდო თავისს შვილებს, რომ „სადაცა პოვნეთო ენებანი იგი ქართლისანი, მაცთურნი კერპნი, ცეცხლითა დაწუენ (დაწვით) და ნაცარი მათი შეასხუ მათ, ვინ მით იგლოვდის".

მირიანეს ბრძანებას სასტიკად ასრულებდნენ: კერპებს ჰლეწავდნენ, მოგვებსა ჰკლავდენ, კერპთ-თაყვანისმცემლებს სტანჯავდნენ. ქრისტიანობა მალე დამკვიდრდა, თუმცა უფრო გარეგნად. ეკკლესიები გააშენეს (მცხეთისა, ბოდბისა, წილკნისა, ნეკრესისა და სხვ.).

მაგრამ მესამე მეფობაზე, შემდეგ

ღერასა და თამაშში დაბინდდა კიდეც. „ღამე მშვიდობისათ“, მიაძახეს ყმაწვილებმა ერთმანეთს და მშველებივით გაჰკურცხლეს თავ-თავიანთ სახლებისკენ.

შუა-ღამე მოახლოვებული იყო. მეზობლობაში ნათხოვები ქურქელი ან სხვა ვეჯი და ნივთები უკვე შეგროვებული ჰქონდა ყველას, რომ იმ ღამეს ოჯახს გარეთ არ დარჩენილიყო. წვრილ-ფეხობას ეძინა. ჩვენი ფიდოც ლოგინში იწვა, მაგრამ არ ეძინა-კი. გარედამ თოფების სროლის ხმა მოისმოდა. ფიდოსაც უნდოდა წამომხტარიყო, მაგრამ ეშინოდა, ვაი თუ ადრე ვერ ავდგეო.

— პაპა, პაპა, გენაცვა, ადრე გამაღვიძე. დედას დაკრული „ხარი-თვალიც“ ირმას ჩამოაცვი რქაზედ, როცა საკვლევად წახვალ ბოსელშიო, შეეხვეწა ფიდო თავის პაპას, რომელიც ცეცხლა-პირას მხარ-თეძოზედ წამოწოლილიყო და ჩიბუხს აბოლებდა.

— კარგი, შვილო, შენ დაიძინე, დაამშვიდა ფიდო მოხუცმა.

მაგრამ ფიდო მაინც ვერ იძინებდა. ფიდოს ხან თავისი საყვარელი ამხანაგები ელანდებოდნენ, ხან ბედისკვერები ეჩვენებოდა, ხან წარმოიდგენდა, რომ იმისი პაპა წასულიყო საქონლის მისაკვლევლად და სანთლები გიშერას რქებზედ მიეკრა. ამ ფიქრებში დაეძინა კიდეც, მაგრამ ფიქრი მაინც არა ჰშორდება ფიდოს. ჰხედავს, რომ იმისი დედა ალაგებს ტაბაკზედ ჯამებით თაფლსა, ღვინოში ჩაყრილს პურს; ჯამებს გარშემო ულაგებს ჩურჩხელებს, ხმელ ხილს, ბასილას, ხარი-თვალასა და გამომცხვარს ღულს (ნამკალს). აი პაპამაც აიღო ტაბაკი და ჩუმად, თითქო უმძრახიაო, გავიდა გარეთ. ფიდომ საჩქაროდ ჩაიცვა და კარებს უკან აიტუზა. რა ნახა, რომ პაპამ სამჯერ შემოუარა სახლსა და გაეშურა გომისაკენ, თითონაც ფეხ-აკრეფით გაედევნა და ბოსლის კარებიდამ შეიცქირებოდა. პაპამ ყველა საქონელს გამოავლო პირში ღვინოში ამოვლებული ხელი და რქებზედაც წაუსვა ღვინო. ბოლოს მივიდა გიშერასთან, ჩამოაცვა რქაზედ „ხარის-თვალა“ და მიაკრა წყვილი ანთებული სანთელი. ეწყინა ფიდოს, რომ პაპამ მოატყუა გაბუტული დაბრუნდა სახლში და ტირილი მორთო. დედა ეუბნება: „ნუ სტირი, შვილო, ბედნიერი დღეა, დაგვეკვებებაო“. პაპაც შემოვიდა, მიულოცა ყველას ახალი წელიწადი, დააბერა და დაჰკოცნა. ფიდო არ მიდის პაპასთან. დედა ეხვეწება: „მიდი, შვილო, პაპასთან, ჩურჩხელებს მოგცემსო“. დედამ წაავლო ხელი მკლავზედ და დაუწყო წევა. ფიდოს უნდოდა ხელიდამ გამოსხლტომოდა, მაგრამ ვერ გაეშვებინა... ამ დროს აჰყიტა თვალები და ნახა, რომ დედა აღვიძებდა ფიდოს: „ადე, შვილო, გათენდაო“. იგრძნო ფიდომ, რომ სიზმარში იყო, გაეცინა და საჩქაროდ ტანთ ჩაიცვა. ამ დროს შემოვიდა გარედამ პაპა და მხიარულად დაიძახა:

შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი;
ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა!..

მივიდა ცეცხლთან, აიღო შეშა და წაუჩინჩხილა ანთებულს მუგუზალს, რომ ნაპერწკლები გასცვივნოდა. თანაც ამბობდა: ღმერთო, მიე ჩვენს ოჯახს ამდენი ცხვარი, ამდენი ღორი, ამდენი ქათამი და სხვ. შემდეგ მიულოცა ყველას ახალი წელი, „ტკილად დააბერა“ ჩურჩხელებით, ხმელის ხილითა, და დაჰკოცნა. როდესაც დანაყრდნენ, ფიდომ ჩაილაგა ჯიბეში ჩურჩხელები და ხმელი ხილი და უნდოდა გარეთ გასულიყო, მაგრამ დედამ გააჩერა და უთხრა:

— შვილო, დღეს თვალ-ყური ადევნე, ცხვირს დააცემინებ, თუ არა; თუ დააცემინებ, კარგია — მეორე ახალწელსაც დაესწრები. ესეც დაიხსომე, შვილო, რომ დღეს ცეცხლის ბერვა არ ვარგა; არამცა-და-არამც არ შაუბერო ცეცხლს, თორემ გაიბერები.

ამ სიტყვებზედ ფიდოს გაეცინა, მხიარულად გავარდა გარეთ და სიხარულითა და ხტომით მიირბინა სკოლასთან, სადაც სოფლის სკოლის შეგირდები ჩვეულებრივს მხიარულს ლაპარაკში იყვნენ და ეკკლესიაში წასასვლელად ემზადებოდნენ.

აპ. ივ—ძე

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ქაკი უნდა დაუყენონ წინ რესპუბლიკელებმა გენერალ ბულანჟეს არჩევანზე 15 იანვარს. ქაკის კანდიდატობა მოინდომა დიდმა უმრავლესობამ რესპუბლიკელების კონგრესზედ. კონგრესს სამი კაცი ჰყვანდა ბულანჟესთან საფალავანოდ. ამ სამში ყველაზედ უკეთესი ქაკი აღმოჩნდა. 270 ათას კაცში ქაკი მოინდომა 200 ათასზე მეტმა. ქაკი წინად მასწავლებლად ყოფილა. ეხლა-კი მდიდარი მწარმოებელია და თავმჯდომარე დეპარტამენტის საბჭოსი. ამას გარდა თავმჯდომარეა მრავალის სხვა-და-სხვა სამადლო და სასარგებლო საზოგადოებისა, უფრო ისეთის საზოგადოებისა, რომელსაც საგნად აქვს სწავლა-განათლების გავრცელება. ქაკი, სხვათაშორის, თავმჯდომარეა მასწავლებელთა ამხანაგობისაცა. ქაკს წინად საპოლიტიკო ცხოვრებაში არავითარი დიდი მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ ყველა ერთ-ხმად ამტკიცებს, რომ პატიოსანი, მტკიცე რესპუბლიკელია გულითა, მართალი და პირში მთქმელი კაციაო. გაზეთები წინასწარმეტყველებენ, რომ ქაკი გაიმარჯვებს, იმიტომ რომ პარიჟის გარშემო მოსახლეებს ძალიან უყვართ ეს კაციო.

აი რას ამბობენ ზოგიერთი გაზეთები ქაკის კანდიდატობის გამო: „Republique Française“ ამბობს, რომ სხვა-და-სხვა რესპუბლიკელთა დასმა, ერთად შეერთებულმა კონგრესზედ, დიდი ერთგულება და ერთსულობა გამოიჩინა, რაკი კონგრესმა ისეთის დიდის ხმის უმეტესობით აირჩია თავისი კანდიდატი და ფალავანი ბულანჟესთან საბრძოლველად. ახლა ყველას ამ კანდიდატის სახელი აკერია ენაზე.

დანარჩენმა კანდიდატებმა უკვე გამოაცხადეს, რომ ჩვენს კენჭსაც კონგრესის რჩეულს კაცს მივცემთ, იმისთვის დავიწყებთ ბრძოლასაო. ეგ იქმნება ჩვენი ერთად-ერთი კანდიდატი 15 იანვარს არჩევნების დროსაო. მუშათა დასმა გამოაცხადა, რომ, მართალია, კონგრესზედ ვერ დავესწარით, მაგრამ მაინც ჩვენ მის არჩეულს კაცს მივემხრობით და შევასრულებთ იმ ვალს, რომელიც გვატვირთებინა ჟამთა ვითარებაო. რეინახი სწერს, რომ ყველა რესპუბლიკელი თანახმაა ქაკი მიიღოს თავის კანდიდატად. ჩვენი ვალი მხოლოდ ის არის, რომ ბულანჟე გავაშავოთ, იმას მივცეთ შავი კენჭი. ამ სახით შეერთდნენ რესპუბლიკელნი თავიანთისავე ნებით და სიყვარული მამულისა მაღლა დააყენეს წვრილმანს მოსაზრებასა და დას-დასობანაზე.

გაზეთი „Temps“-ი უფრო თავ-დაჭერითა ლაპარაკობს. ამ გაზეთს არ მოსწონს ქაკის კანდიდატობა, მაგრამ, რაკი მაგის მეტი გზა არა გვაქვს, თანახმა ვართ ქაკს მივცეთ ჩვენი თეთრი კენჭიო; მით უმეტეს, რომ იმისის კანდიდატობით საქმე იმაზე ხომ არ არის მიმდგარი, ზომიერი მიმართულება იყოს, თუ რადიკალებური პოლიტიკაში. აქ მხოლოდ იმაზეა ლაპარაკი, ვინ ემხრობა ბულანჟეს და ვინ არა. ვინც ბულანჟესკენ არის, ის წინააღმდეგი იქმნება ქაკისა, ხოლო ვინც ქაკისკენ იქმნება, ის გენერლის მოწინააღმდეგედ და ქაკის მომხრედ უნდა ჩაითვალოს.

გაზ. «Rappel»-ში ვაკერი სწერს: რესპუბლიკელთა კონგრესმა დაასახელა თავისი კანდიდატი. კანდიდატად აირჩია ქაკი, პრეზიდენტი დეპარტამენტის საბჭოსი. ყველა რესპუბლიკელთ უნდა თავი მოიყარონ იმის გარშემო, ვინც დღეიდგან განმახორციელებელი უნდა იყოს ბრძოლისა დიქტატურის წინააღმდეგ. ხომ ვიცით, რა აუცილებელი ბოლოც მოსდევს დიქტატურას. ეს ბოლო ომია. რადგან დიდებულს ერს დიდხანს არ შეუძლიან მოითმინოს თავისუფლების ჩამორთმევა, დიქტატურას, რომელსაც შინ ემუქრებიან, ერთი ღონე-ღა აქვს, გარეთ მიმართოს თვალი ერისა. ყველამ იცის, რა მოჰყვა ამ გარეთ ცქერას. ამ საუკუნეში ორჯელ დაგვემართა ასეთი საქმე. ერთმა ვატერლოო შეგვძლევნა, ხოლო მეორემ—სედანი. არა თუ მარტო ყველა რესპუბლიკელმა, არამედ ყველა მამულიშვილმა ქაკი უნდა გაათეთროს 15 იანვარსაო.

ყველა დანარჩენი ზომიერი და რადიკალი გაზეთებიც ასე ლაპარაკობენ. ყველანი ჰქადაგებენ, შეერთიდით, თავი მოიყარეთ ერთად და თეთრი კენჭი მიეცით ქაკსაო. მხოლოდ ორიოდე გაზეთია კონსერვატორ-რესპუბლიკელთა ისეთი, რომელიც არ თანაუგრძნობს საერთო ქადაგებას. ეს გაზეთებია Parti National და Juornal des Debats-ი. ამ გაზეთების აზრით 15 იანვარს რესპუბლიკის ბედი სრულიად არ ჩამოეკიდება ძაფზედ, როგორც რესპუბლიკელებს ჰგონიათო. პარიჟში რაც უნდა გადაწყდეს, ის მთელის საფრანგეთისათვის სავალდებულო არ არის. პარიჟი ჯერ კიდევ საფრანგეთს არა ჰნიშნავს. პარიჟი ხშირად ეწინააღმდეგება საფრანგეთს. პარიჟმა ინდომა რადიკალები 1850 წელს, მაგრამ მერე 31 მაისს-კი სრულიად შეუსაბამო კანონი დაიბადა; პარიჟმა გაათეთრა ბაროდე 1873 წელს, მაგრამ მარშალი მაკ-მაგონი-კი წამოსკუპდა მაღლა თაროზე. თქვენი მტერი, ჩვენი საქმე იქნებოდა, რომ საფრანგეთის ბედი 200 და 250 ათას პარიჟელ ამომრჩეველთა ნებაზე ყოფილიყო დამოკიდებული. პარიჟი ყოველთვის მთავრობის წინააღმდეგი ყოფილა არჩევანებზე, მაგრამ ვის გაუგონია, რომ მთავრობა კომმუნის მომხრეთაგან შემდგარიყოს? თუ ეხლაც პარიჟმა ბულანჟე აირჩია, ეს მხოლოდ იმისი ნიშანი იქმნება, რომ პარიჟი არა ჰღალატობს თავისს ჩვეულებას წინააღმდეგობისას. ეს-კია, რომ პარიჟის არჩევანი შესავალივით არის იმ დიდის საარჩევანო ომისა, რომელიც 1889 წლის შემოდგომაზე უნდა იყოს. დღეიდამ ყველამ უნდა სთქვას, გამოაცხადოს, რა გზას დაადგება, რა ალაგს დაიჭერს იმ ომში...

ბოლოს ეს გაზეთები ასე ლაპარაკობენ: გენერალმა ბულანჟემ რომ ძალიან გაიწია, ფლოკეს შეადგენინეს კაბინეტი, ხოლო ქაკს რესპუბლიკის დამცველადა ჰსახავენ. ჩვენ არ ვიცით, სად მიგვიყვანს ასეთი პოლიტიკა კადნიერებისა და უგუნურებისა; მხოლოდ ამას ხომ იტყვიან, რომ ყველა რესპუბლიკელნი არ თანაუგრძნობდნენ ასეთს პოლიტიკასაო. ბულანჟეს კანდიდატობა ჰნიშნავს ცეზარიზმს და ერის-კაცობის ბატონობას; ქაკის კანდიდატობა ჰნიშნავს რესპუბლიკისა და ერის კაცობის ბატონობას. ჩვენ არც ერთს თანავუგრძნობთ და არც მეორესაო.

---

მირიანისა, ვარაზბაკურის დროს, სპარსელებმა დაიპყრეს საქართველო და სომხითი, ხარკი დაადეს მცხოვრებლებს და ქართლში ცეცხლის თაყვანის-მცემლობა აღადგინეს. იმათის შთაგონებით მეფემან ბაკურ თირდატის ძემ „განაახლა არმაზი სპარსთა შიშისათვის“. მოგვების რიცხვი თანდათან მატულობდა და მათ ხელს ვერავინ ახლებდა შიშით: «მოგუნი მოგუეთას მოგობდეს ცეცხლისა მსახურებასა ზედა». ესე იყო, სანამ სპარსელები არ იქმნენ განდევნილ ვახტანგ გორგასლანის მიერ. კერპთ-მსახურებაც შესუსტდა, მაგრამ სპარსელებმა დაჩის მეფობის დროს ისევ დაიპყრეს საქართველო-სომხითი და ბაკურის დროს სრულიად მოსპეს მეფობა ქართლში. სპარსთა მფარველობით მოგვები თავისუფლად ფარფაშობდნენ. მაშინ ქართველნი შეკრბენ და განაჩინეს შინაური მმართველობა: ერისთაობა და კურაპალატობა. ამ დროს ატყდა ბრძოლა ბერძნებს (ერეკლე) და სპარსელებს შორის (ხოსრო) და ქართველნი მიემხრნენ ერეკლეს. ბერძნების მეფემ, შემოვიდა რა იგი საქართველოში, ფიცხელი ყურადღება მიაქცია ქრისტიანობის გავრცელებას, გაგზავნა ყოველგან მქადაგებელნი: «ამან ჰერეკლე ტფილისს და მცხეთას და უქარმას განავლინნა ქადაგნი» და შემდეგი სასტიკი ზომა იხმარა მოსასპობლად წარმართობისა: „რათა ყოველნი მოგუნი და ცეცხლისა მსახურნი ანუ მოინათლნენ, ანუ მოისრნენ. ხოლო იმათ ნათლისღება არა ინებეს. ზაკვით აღერინეს ქრისტიანეთა“, ე. ი. გარეგნობით მიიღეს ქრისტიანობა მოსატყუებლად მეფისა. მაგრამ გამოჩნდა ეშმაკობა იმათი და საქმე გათავდა იმით, რომ ბერძენთა მეფე „წარმართა მახვილი ყოველთა ზედა წარმართთა და ეკკლესიათა შინა მდინარენი სისხლისანი დიოდეს“. ერთის სიტყვით, ერეკლემ სრულიად მოსპო მოგვები და წარმართები მახვილით. ამით მან სპარსელების მომხრენიც (იგივე წარმართნი) გაწყვიტა. ამის შემდეგ ჰერეკლემ „განწმინდა სჯული ქრისტესი“, ე. ი. აღადგინა შერყეული სპარსთაგან მართლ-მადიდებელი წესი და წავიდა საბერძნეთს. ერისთავად დასტოვა სტეფანოზი.

ამის შემდეგ წარმართობა ისე შესუსტდა, რომ იმისი აღარა ისმის რა.

გარდა ამისა მოხსენებული მანუსკრიპტი შეავსებს ფრიად საჩინო ნაკლს ქართლის ცხოვრებისას: იქ დაცულია სახელები კათოლიკოზებისა და ზოგს კათოლიკოზებზე რამდენიმე ცნობა არის მოხსენებული. ქართლის ცხოვრებაში სრულიად არ არის სახელები კათოლიკოზებისა მეშვიდე საუკუნიდგან. მანუსკრიპტში არც ერთი სახელი არ არის გამოშვებული მეცხრე საუკუნემდე (ე. ი. მემატიანეს დრომდე).

შესანიშნავია, რომ არაბების დროს ცხრა კათოლიკოსი „ცოლოსანნი“ გვყოლია, ე. ი. ცოლიანი ეპისკოპოსები (ძველად ეპისკოპოსნი იყვნენ ცოლიანებიცა და უცოლონიც, იხ. მოციქ. პავლე: „იყვნენ ეპისკოპოს ქმარ ერთის ცოლისა“). გარდა ამისა მანუსკრიპტი მოგვითხრობს, თუ ვინ იყვნენ „ქორ-ეპისკოპოსნი“. ზოგიერთ კათოლიკოზებზე ნათქვამია, რომ ისინი იყვნენ ერისთავიცა და ეპისკოპოზიცა, ე. ი. სასულიერო და საერო უფლება ჰქონდათ. სწორედ ესენი არიან, ჩვენის აზრით, ესრედ წოდებულნი ქორ-ეპისკოპოსნი.

სხვა ბევრ მხრითაც არის შესანიშნავი ახლად აღმოჩენილი მანუსკრიპტი, მაგრამ ეხლა ესეც ვიკმაროთ.

არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ, რომ „ექვსთა დღეთა“-ში ვასილის დიდისა, რომელიც ამავე მანუსკრიპტშია მოქცეული და დაწერილია ქართულ ასო-მთავრულით, სხვათა შორის აღმოვიკითხე შემდეგი:

„თქვან ხელოვანთა მათ ვარსკვლავთ-მრაცხველთა, ვითარმედ ქვეყანა ესე... არს მსგავსი ბურთსა ზედა კერძო (ე. ი. ბურთის გარეგან პირისა), კუერსა მას მზისასა ანახით მსგავსად სანობარისა; და რამეთუ მზე უდიდეს და უვრცელეს არს ქვეყნისა მრავლითა ნაწილითა (ე. ი. მრავალჯერ) და შეუცავს ქვეყანა ბრწყინვალებითა თვისითა“.

სამწუხაროდ, ისიც უნდა ვაცნობოთ მკითხველს, რომ ეგეთი ძვირფასი საუნჯე ჩვენის ძველის ისტორიისა და მწერლობისა უმეცართაგან დაზიანებულა: რამდენიმე თაბახი ბოლოს აკლია, რამდენიმე შუა წიგნში ამოჭრილია, ზოგი თაბახი დაჭრილია დანით უმეცარის ხელით*).

წიგნი შეადგენდა დავით რექტორის მესხიშვილის ბიბლიოთეკის განძს და მისს წიგნთ-საცავში მე-1141 ნომერი იყო. დავით რექტორის გარდაცვლის შემდეგ ძლივს სამოცი წელიწადი-ღაა და მისის მდიდარ წიგნთ-საცავისაგან, რომელიც ათასს შორს გადაცილებული ყოფილა, ძლივს გადარჩენილა სამოციოდე. აი ნიმუში ჩვენის დაუდევნელობისა და უმეცრებისა! თავში გაგვყინვია აზრი და გულში გრძნობა. გარდა ღვინისა და შურიანობისა არა გვრწამს-რა. ან რა იქმნა ნეტავ მცხეთის ბიბლიოთეკა, რომელშიაც ინახებოდა შვიდ-ათასამდე ხელთ-ნაწერი წიგნი? ეხლა 200 ხელთ-ნაწერიც არ იპოვება იქ (იხ. ცაგარელის „Свѣд о памятникахъ грузинской письменности“ და ჟურ. „ივერია“ 1883 წ.).

—გრი—

*) მანუსკრიპტი გადაუწერია ვიღაცა ითაგანე ბერსა (ერობაში დაჩის): „მოღვაწეობითა დედისა ძმისა ჩემისა მიქაელისა და ძმისა ჩემისა დავითისითა და სხუა არაჲ არავის ჰქონდეს თვინიერ სიგლახაკისა ჩემისა, და შევწირე შატბერდს, საყოფელსა წმინდისა ღვთის-მშობლისასა, რომელსაცა შინა აღვიზარდე სალოცველად სულისა ჩემ ცოდვილისა და მშობელთა (ჩემთა) და სალოცველად მეფეთა ჩ... (ჩვენთა) ბაგრატ მეფისა და ყოველთა შვილთა მათთათვის“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითონ ქაკი ამას ამბობს: მე ვარ კანდიდატი რესპუბლიკელთა გაერთიანებისათვის ამორჩეული, ჩემი საქმე ის-კი არ არის, რომ კერძოდ ჩემმა აზრებმა გაიმარჯვოს. მე უნდა სახეში მივიღო იმათი აზრი, ვინც დამასახელა კანდიდატად, და ამიტომ მოვალე ვარ მოველაპარაკო იმათ. ჩემი პროგრამა ასეთია: დღეს იბრძვის ერთმანეთში რესპუბლიკა და ცეზარიზმი, დიქტატურა და თავისუფლება. ჩემის აზრით, დღეს ეს უნდა ავუხსნათ და გავაგებინოთ ამომრჩევლებსაო.

## ფოგის წინა დღე

გ. ლაფონტენისა

ოც-და-ოთხ ოქტომბრის ცივსა და პირქუშიანს საღამოს მაზარინის ქუჩაზედ მიდიოდა ერთი მაღალ-მაღალი და გამხდარი კაცი, ჯოხზედ დაბჯენილი. ამ კაცს მეტად უბრალო ტანისამოსი ეცვა, საზაფხულო შარვალი, ძველი სერთუკი, ყელამდე შეკრული, და თავზედ ეხურა განიერი შლიაპა, რომელიც სახეს უფარავდა; ჭაღარა თმა მოღუნულსა და მოხრილს ზურგზედ ჰქონდა გადაფენილი. ამ კაცს იღლიის ქვეშ რაღაც ეჭირა, უჯრიანს ხელსახოცში შეხვეული. იგი გადავიდა ხიდს, პალე-როიალთან რომ მივიდა, გვერდზედ შეუხვია და კანკალითა და ცახცახით მივიდა მადრენების ქუჩაზედ; აქ თავი მაღლა აიღო და რაკი დაინახა, რომ მომუშავეთა სახლების ფანჯრები განათებული იყო და ამ დღესასწაულს ყველგან სიცოცხლე სდუღდა და გადმოდიოდა, გრძელის ხეივნის ერთ გამოშვერილს კედელს შეეფარა, მიაყუდა ჯოხი და ხელსახოცი გახსნა, რომელშიაც ჭიანური იყო. რა დარწმუნდა, რომ სიმები რიგზედა აქვს ჭიანურსაო, აკანკალებულის ხელით დაიწყო და დაუკრა ისეთი მწუხარე, მაგრამ უთავბოლო ჰანგი, რომ ორი სამი პაწია ბიჭი, რომელნიც გარს შემოეხვივნენ, ყურებ-დაცქვეტილნი გაიქცნენ; თან დაიწყეს ყვირილი, რომ ამისთანა მუსიკის მოსმენით ეშმაკებსაც-კი გულის ზიდილი დაემართებათო. იქვე ახლო მოთავსებულმა ოთხ-ფეხმა საცოდავად დაიწყო ღმუილი და ქუჩაზედ მოსიარულეთ-კი ფეხს გაუჩქარეს.

მოხუცი სასოწარკვეთილებით დაეშვა ხეივნის საფეხურზედ და გულიდგან ამოესკვნა ამოოხვრა, თითქმის ქვითინი: „ღმერთო! ნუ თუ აღარ შემიძლიან ჭიანურის დაკვრა!“

ამ დროს გრძელსა და ბნელს ხეივანზედ მოდიოდა სამი ჭაბუკი მხიარულის ღიმილით, რომლითაც თავისს სიხარულს გამოსთქვამდნენ, რომ მადლობა ღმერთს, კონსერვატორიაში აღარა ვართო.

ამ ჭაბუკთ ვერ შენიშნეს მოხუცი, ერთი დაეჯახა, მეორემ ქუდი დააგდებინა მირს, ხოლო მესამე იქვე გახვდა, რაკი უეცრად თვალი შეასწრო წინ აყუდებულს გრძელსა და გამხმარს ნაკვთს ადამიანისას.

— უკაცრავად, ბოდიშს ვიხდით, ხომ არა გატკინეთ-რა?

— არაო, — უპასუხა მეჭიანურემ და რის წვალებით დაიღუნა, რომ ქუდი აეღო. ერთმა ჭაბუკთაგანმა დაასწრო, წამოავლო ქუდს ხელი და ამ დროს ჭიანური შენიშნა.

— მუსიკის დამკვრელი ხართ?

— ვიყავი ოდესღაც, — ამოიოხრა საბრალომ და ორი კურცხალი ცრემლისა ჩამოჰკვარდა დამჭკნარს ლოყებზედ.

— რა გემართებათ? ავადა ხართ? ხომ არაფრით შეგვიძლიან შენი შველა?

მოხუცმა მეჰხედა, ქუდი გაუშვირა და ჩაიჩურჩულა:

— მოწყალება მოიღეთ... მუსიკით ვეღარასა ვშოულობ, თითები ვეღარ მიმუშავებია და ქალი-კი ჭლექისა და სიღარიბისაგან სულს მილევს.

მოხუცს ხმაში ისეთი მწუხარება და ტანჯვა ეტყობოდა, რომ ყმაწვილ კაცებს გული დაეწვათ, საჩქაროდ ჩაიყვეს ჯიბეში ხელი და ამოიღეს, რაც-კი ჰქონდათ: ერთმა — $12\frac{1}{2}$ კაპ., მეორემ — $7\frac{1}{2}$ კაპ. და მესამემ პატარა ნაჭერი ქამანჩის წასასმელის ფისისა. სულ ეს იყო... ყმაწვილებმა ერთმანეთს მწუხარედ შეჰხედეს.

— ყმაწვილებო, — დაიწყო იმან, რომელიც მოხუცს ელაპარაკებოდა: — ცდა ბედის მონახევრეა, ვეცადოთ, იქნება მოვხერხდეს რამე!.. ადოლფ, შენ ჭიანური აიღე და დაუკარ, გუსტავი ზედ დაამღერს და მე-კი ფულს შევკრებავ!..

სთქვეს და შეუდგნენ კიდეც საქმეს — თქმა და ქმნა ერთი იყო! საყელოები აიწიეს, თმა ჩამოიფხატეს თვალებზედ და ქუდიცა.

— ეხლა-კი ხელი მივყოთ, რაც შეიძლოთ ეცადენით! შობის საღამოა, ღმერთი ახლო უნდა იყოს და პირველი ჯილდო იმასა ვსთხოვოთ. აბა, ადოლფ, დაიწყე, რომ ხალხმა ხმაზედ თავი მოიყაროს...

ყმაწვილის მეჭიანურეს მოქნილი თითები ათამაშდა და ჭიანურმა მხიარულად და მშვენიერად გაიწრიპინა ხმა Carnaval de Venise-სი. ფანჯრები გაიღო, გამვლელ-გამომვლელთ ნაბიჯს მოუკლეს, ოთხ-კუთხივ ვერცხლის ფული ჩამოცვივდა. ჭიანურმა ხმა გაკმინდა.

— შენი რიგია, გუსტავ, უთხრა შარლმა და ყმაწვილმა კაცმა დაიწყო მღერა მშვენიერის ტენორის ხმით... ყურის-მგდებელნი აღტაცებაში მოვიდნენ, ტაშსა სცემდნენ და ჰყვიროდნენ bis, bis, bis!.. ხალხი უფრო და უფრო მატულობდა, შესაწევარი ერთი ორად ჰსდებოდა. რაკი ჰნახა, რომ საქმე კარგად მიდისო, მოთავემ დაუმატა:

— აბა, მეგობრებო, დასასრულ აღვასრულოთ ტრიო „ვილჰელმ ტელიდგან“. ადოლფ, ჩამოჰკარი სიმებს, შენი ბასი ხმაც არ დაივიწყო, მე ბარიტონობას ვიკისრებ, შენ-კი, გუსტავ, ჩემო მშვენიერო ტენორო, შენს ჩინებულს ხმას ნუ დაგვიშურებ და ჩვენი კოჭი ალჩუსა ჰზის.

ტრიო დაიწყო. აქამდე უძრავმა მოხუცმა ვეღარ მოითმინა, წამოავლო ჯოხს ხელი და ისეთის გატაცებულის გულით დაიწყო ლოტბარობა, რომ ხალხი ჯიბეს იცარიელებდა და უანგარიშოდ აძლევდა ფულს მომღერალთ, რაც-კი მოეძებნებოდა. დიდი ჯაფა და შრომა დასჭირდა შარლს ამ ფულის აკრებაზედ.

კონცერტი გათავდა, ხალხმა მხიარულად დაიწყო დაშლა.

ჭაბუკნი შემოეხვივნენ მოხუცს. იგი აღელვებისაგან ძლივსა ჰსუნთქავდა და გაოცებულს თავისის თვალისაც აღარა სჯეროდა.

— თქვენი სახელი, სახელები მითხარით კეთილშობილნო და დიდ-სულოვანნო ჭაბუკნო.

პირველმა უპასუხა:

— ჩემი სახელი რწმენაა!

— ჩემი — იმედი, დაუმატა მეორემ

— მაშ მე მოწყალებას დავირქმევო, სთქვა მესამემ და ქუდი მიაწოდა მოხუცს.

— მაშ ჩემს სახელსაც გეტყვით, რათა იცოდეთ, ვისაც გაუმართეთ ხელი და ფეხზედ წამოაყენეთ ეგრე დიდ-სულოვნად: მე შოპერი ვარ, ელზასელი, ათი წელიწადი სტრასბურგის ოპერის თეატრის ლოტბარი ვიყავი, ჩემის ხელმძღვანელობით წარმოადგინეს «ვილჰელმ ტელი». უბედურებას, ავადმყოფობასა და სიღარიბეს ვერ დავაღწიე თავი, რაც სამშობლოს მოვშორდი. ეხლა თქვენის წყალობით შემიძლიან ისევ დავუბრუნდე ჩემს მიწა-წყალს, იქნება იქაურმა ჰაერმა გამობრუნოს და გამოაყენოს ჩემი სნეული ქალიშვილი. თქვენი ნიჭი-კი, რომლითაც ეგრე გულ-მოწყალედ შემწეობა გამიწიეთ, უბრალოდ არ დაიკარგება, დიდებულნი კაცნი შეიქმნებით. ვგრძნობ ამას და გიწინასწარმეტყველებთ კიდეც.

— ამინო, — სთქვეს ჭაბუკთ და საჩქაროდ გაშორდნენ მოხუცს.

შოპერის წინასწარმეტყველება აღსრულდა: ტენორი იყო გუსტავ როჟე, მეჭიანურე — ადოლფ გერმანნი და მოთავე ამ ოროთა — შარლ გუნო.

ოიანი

# დეპეშა

3 იანვარი

პეტერბურგი. გამოცხადებულია სახელმწიფო საბჭოს აზრი და დროებითი წესები, თუ როგორ უნდა სწარმოებდეს მომრიგებელ-სასამართლოს დაწესებულებანი და გამომძიებლის საქმე არხანგელსკის გუბერნიაში.

მოსკოვი. მოსკოვის გენერალ-გუბერნატორს ახალის წლის მილოცვის გამო ყოვლად მოწყალედ ებოძა ხელმწიფე იმპერატორისაგან დღეს შემდეგი უმაღლესი რესკრიპტი: „თავადო ვლადიმირ ანდრიას ძევ! თქვენმა მოსკოვის სახელით მოძღვნილმა მილოცვამ ამ ბედნიერ დღეების გამო მეტად ასიამოვნა გული ჩვენი, ღირსსახსოვარის წარსულის წლის დამლევს, როცა ღვთის განგებამ დიდი წყალობა მოგვივლინა თვისი. ღმერთსა ჰნებავდა, რომ ერი ჯერ შეძრწუნებულიყო იმ უბედურების გამო, რომელიც მოგველოდა, მერე გახარებულიყო ჩვენის დახსნისა გამო და ამ შეძრწუნებასა და სიხარულში ჩვენცა და მთელს ქვეყანასაც დაენახა ის გრძნობანი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულებისა ერის მხრით, რომელიც ასე აძლიერებს რუსეთს, ასულდგმულებს მეფესაცა და თვით ერსაც ღვაძლისა და სამსახურისათვის. ვეგებებით ახალს წელიწადს განახლებულის იმედებით, გვრწამს ჩვენსა და ჩვენს მიერ შეყვარებულს სამშობლოზედ მოვლინებული განგება უფლისა და კვლავცა ვევედრებით, მიმართოს გზა და ცხოვრება ჩვენი თვისდა სადიდებლად და საკეთილოდ რუსეთისად.“

პარიჟი. საფრანგეთის მთავრობამ მოსწერა გუბერნატორს ობაკასას — აფრიკის კოლონიისას ინდოეთის ოკეანეზედ, რომ ნებას ნუ მისცემთ შეიარაღებულთა ბრბოთა ჩამოხდნენ კოლონიაშიო.

ბელგრადი. გენერალი გრუიჩი ინახულა მეფე მილანმა და მთელი ერთი საათი ებაასებოდა. ყველა იმ აზრისაა, რომ ამ ორს კვირაში გრუიჩს მიენდობა შედგენა კაბინეტისა, რომელიც წმინდა რადიკალურის მიმართულებისა უნდა იყოსო.

5 იანვარი

პეტერბურგი. «Нов. Вр» იუწყება, რომ «ნეოკლადნი სბორების» დეპარტამენტში ცალკე კომისია უნდათ შეადგინონ და მიანდონ განიხილოს პროექტი იმისი, თუ რა ღონისძიებით უნდა წახალისებულ იქმნას სოფლად წვრილ-წვრილად არაყის ხდა.

«Гражданинъ»-ი იუწყება, რომ წელს სამის დიდის ხომალდის აგებას დაიწყებენო. მათ შორის ერთს ააგებს „რუსეთის ნაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოებაო“.

კალკუტა. მოლაპარაკება ინდოეთის მთავრობისა და ჩინეთისა, რომ მოისპოს ტიბეთელების საწინააღმდეგო მოქმედებაო, შესწყდა და ჩინეთის რწმუნებული უკან მიდის ტიბეთს

პეტერბურგის ბირჟა, 3 იანვარი.

| | მყიდველთა. | გამყიდველთა. | გაყიდულა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 51 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | $150\frac{1}{2}$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 13 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | $267\frac{1}{2}$ |
| — მეორისა . . . . . | — „ | — „ | $245\frac{1}{2}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპთ (1889) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი — უპ=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6. იანვარი 31 დღით არის.

6 დღე პარასკევი. ნათლის-ღება იესო ქრისტესი. კათოლ. იგივე. სომეხ. იგივე. სალამოზედ ნახატონაქი. მაჰმად. მე-17 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11. ტფილისში მზე ამოდის 7—24, ჩადის 4—57. მთვარე 17 დღისაა.

7 დღე შაბათი. კრება წმინდა წინამორბედისა და ნათლის-მცემლის იოანესი. კათოლ. წმ. იულიანესი. სომეხ. მიცვალებულთა მოხსენების დღე—მერელოცი. სალამოზედ ნახატონაქი. მაჰმად. მე-18 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11. ტფილისში მზე ამოდის 7—25, ჩადის 4—58. მთვარე 18 დღისაა.

8 დღე კვირა. წმ. აბო ტფილელისა და სხ. კათოლ. აზ. სევერინესი. მაჰმად. მე-19 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—გარდაიცვალა ქართლის მეფე თეიმურაზი ასტრახანში, როცა იგი ს.-პეტერბურგიდგან საქართველოში ბრუნდებოდა. ირაკლი ავიდა ქართლისა და კახეთის სამეფო ტახტზე, 1762 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11. ტფილისში მზე ამოდის 7—22, ჩადის 4—59. მთვარე 19 დღისაა.

9 დღე ორშაბათი. წამ. პოლიევქტოსა, წმ. პეტრესი და სხ. კათოლ. წმ. მარციანესი. სომეხ. სალამოზედ ნახატონაქი. მაჰმად. მე-20 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ეველისა, 1306 ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11. ტფილისში მზე ამოდის 7—22, ჩადის 5—1. მთვარე 20 დღისაა.


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . | 10 მ.—კ | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 › . . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 › . . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 › . . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 › . . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 › . . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე — 40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ, პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი — 60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლი ბანკამოეისა, № 5.


Доз. ценз. Тифлисъ 5-го Января 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე